Muresko

მაღალი ხარისხის, წყალგაუმტარი (ჰიდროფობური) საღებავი ფასადებისათვის - SilaCryl®-ის ბაზაზე.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გლუვი და სტრუქტურირებული ზედაპირების მაღალხარისხიანი დაფარვისთვის. საღებავში შემავალი SilaCryl®-ის ტიპის შემკვრელი ქმნის მყარ დამცავ საფარს - წვიმისგან, მაღალი ორთქლგამტარიანობის და ნახშირმჟავა გაზის დიფუზიის შემთხვევებში. ისევე, როგორც მაღალხარისხიანი სუფთა აკრილატური ფასადის საღებავები, SilaCryl®-ი ასევე უზრუნველყოფს ფერთა გამის დიდ მრავალფეროვნებას, ატმოსფერული ცვლილებების მიმართ მაღალ მედეგობას და სტაბილურ დაცვას ცარცვადი და ადჰეზიური პროცესებისგან. უზრუნველყოფს ფასადის ხანგრძლივ დაცვას სოკოსა და ხავსისგან.

თვისებები

- წყალში ხსნადი, ეკოლოგიური
- სუსტი არომატი
- ატმოსფერული ზემოქმედებისადმი მედეგი
- წყალგაუმტარი (ჰიდროფობური) DIN 4108
- ტუტეების ზემოქმედებისადმი მედეგი, ამიტომაც არ იქაფება
- მარტივი მოხმარებისათვის
- მშვენივრად ფარავს მომრგვალებულ ნაპირებს
- იცავს ფასადს წყალმცენარეებისა და სოკოვანი ნადებისაგან

მასალის შემკვრელი

სილანიზებული სუფთა აკრილატი, SilaCryl®-ის შემკვრელზე დაფუძნებული - სილიკონის საფარით.

შეფუთვა

ბაზა 1: 2,5 ლ, 5 ლ, 10,ლ, 15 ლ.
ბაზა 2 და 3: 2,5 ლ, 5 ლ, 10 ლ (კოლერებული).

ფერი

ბაზა 1: თეთრი,
ბაზა 2 და 3: გამჭვირვალე, მოიხმარება მხოლოდ შეფერადებული სახით.

დამოუკიდებლად საღებავის შეფერადება შესაძლებელია CaparolColor ან AVA -ს კოლექციების ნებისმიერი ფერით. ფერის ტონში სხვაობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შეურიოთ მთელი საღებავი. ერთი ფერის საღებავის 100 ლ. და მეტის დაკვეთის, ან მოთხოვნის შემთხვევაში საღებავების კოლერება ხდება ქარხანაში.

კოლერდება მანქანური მეთოდით ColorExpress-ის სისტემით CaparolColor, Caparol 3D, NCS, Panorama, RAL და ფერთა სხვა კოლექციების ყველა ტონებში. ინტენსიურ და სუფთა ტონებს, მაგალითად: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი და ა.შ., გააჩნია ნაკლები დაფარვისუნარიანობა. რეკომენდებულია შუალედური ფენის დატანა შესაბამის პასტელურ ტონში, პიგმენტირებული თეთრი საღებავის ბაზაზე (ბაზა 1). შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი, დამასრულებელი ფენის დატანა.

CAPAROL

სიპრიალის ხარისხი	მქრქალი G3
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ პირობებში, მოარიდეთ ყინვას.
ტექნიკური პარამეტრები	**DIN EN 1062-ის მიხედვით:** ■ ნაწილაკების მაქსიმალური (grit) ზომა: <100 µm, S_1, ■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.5 გ/სმ3 ■ მშრალი ფენის სისქე: 100-200 µm, E_3, ■ დიფუზიის კოეფიციენტი, ჰაერის ფენის სისქის ექვივალენტი sdH_2O: <0,14მ (მაღალი) V_1, ■ წყალგამტარიანობა (w): ≤ 0,1 კგ/(მ2h1/2) (დაბალი) W3
ხელშემწყობი პროდუქტები	**Caparol Trocknungsbeschleuniger** - ზამთრის დანამატი, წვიმისადმი მედეგობის აჩქარების მისაღწევად. Muresko-ს დაბალ ტემპერატურებზე (+1° C-დან დაახლოებით +10°C-მდე) დასამუშავებლად. მოხმარება იხილეთ Caparol Trocknungsbeschleuniger-ის ეტიკეტზე.
შენიშვნა	კოლერების შემდეგ შესაძლებელია ტექნიკური პარამეტრებიდან უმნიშვნელო გადახრა.

გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ახალი და ძველი, მოქმედი თბისაიზოლაციო სისტემები აკრილის და სილიკონის ფისის, სილიკატური, ან კირ-ცემეტის შემკვრელის შემცველი ბათქაშების (P II) ზედაპირები:
ძველი ბათქაშები გაიწმინდოს შესაბამისი სველი მეთოდით. წყლის ჭავლით გასუფთავებისას წყლის მაქსიმალური ტემპერატურა 60°, მაქსიმალური წნევა-60 ბარ. Muresko-ს დატანა არსებულ ბათქაშებზე ხდება შემდგომი მითითებების შესაბამისად.

სილიკატური, ან P II და P III ცემენტის ჯგუფის ბათქაშები:
ახალი ბათქაშების გადაღებვა შესაძლებელია როგორც წესი 2 კვირის შემდეგ, ჰაერის 20°C ტემპერატურის და 65% ტენიანობის პირობებში. არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში, მაგალითად: ქარი და წვიმა, შესაბამისად უნდა გაიზარდოს დროც. დამატებით საგრუნტავი Capagrund Universal-ის გამოყენება ამცირებს კირის გამორეცხვის რისკს და იძლევა გადაღებვის საშუალებას 7 დღეში.
ძველი ბათქაშების შერემონტებული ადგილები კარგად უნდა შეიკრას და გაშრეს. უხეშფოროვანი, შემწოვი ზედაპირის მქონე ბათქაშები მსუბუქი ქვიშანაყარით აუცილებელია დაიფაროს OptiGrund E.L.F.-ით, ხოლო ძლიერი ქვიშანაყარის შემთხვევაში გამოიყენეთ Dupa-grund-ი, თბოსაიზოლაციო სისტემები პოლისტიროლის ფილებით დაფარეთ AmphiSilan-Putzfestiger-ით.

ფოროვანი ბეტონის მზიდი ზედაპირის ძველი დანაფარი:
დაუზიანებელი ზედაპირი გაიწმინდოს და დაიგრუნტოს Capagrund Universal-ით. დეფექტური ზედაპირების დასამუშავებლად იხელმძღვანელეთ Disbon-ის პროგრამით.

ბეტონი:
დაბინძურებული ზედაპირები უნდა გასუფთავდეს მექანიკურად, ან წყლის ჭავლის გამოყენებით, შესაბამისი ნორმების დაცვით. სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები უნდა დაიგრუნტოს Capagrund Universal-ით, უხეშ, შემწოვ ზედაპირებზე მსუბუქი ქვიშანაყარით გამოიყენეთ OptiGrund E.L.F., ხოლო ფხვნილისებური ნადების შემთხვევაში Dupa-grund-ი.

ცემენტით შეკრული ხის ნახერხის ფილები:
მაღალი ტუტიანობის გამო საჭიროა დაიგრუნტოს Disbon 481 EP-Uniprimer-ით, რათა თავიდან იქნას აცილებული კირის გამორეცხვა.

დისპერსიული საღებავების მზიდი ზედაპირები:
ძველი დანაფარების დაბინძურებული და ცარცვადი ადგილები გაიწმინდოს წყლის ჭავლით სათანადო წესების დაცვით და დაიგრუნტოს Capagrund ან Capagrund Universal-ით.

აკრილის, ან სილიკონის ბაზაზე არსებული მზიდი დანაფარები:
ძველი ბათქაშები გასუფთავდეს დადგენილი წესით. სველი მეთოდით გაწმენდის შემთხვევაში ზედაპირი კარგად უნდა გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის.

არამზიდი მინერალური დანაფარები:
მთლიანად მოცილდეს ჯაგრისით, ზუმფარის ქაღალდით, ან წყლის ჭავლით, შესაბამისი წესების დაცვით. სველი მეთოდით გაწმენდის შემთხვევაში ზედაპირი კარგად უნდა გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის. იგრუნტება Dupagrund-ით.

ხელოვნური ფისის შემცველი ბათქაშების და დისპერსიული საღებავების არამზიდი დანაფარები:
მლიანად მოცილდეს შესაბამისი წესების დაცვით (მექანიკურად, ან წყლის ჭავლით). სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები დაიგრუნტოს Capagrund Universal-ით, ხოლო შემწოვი და ქვიშანაყარი ზედაპირები Dupagrund - ით.

საწარმოო გაზით და მურით დაბინძურებული ზედაპირები:
დაიფაროს ფასადის საღებავით Duparol, რომელიც არ შეიცავს წყალს.

შებათქაშებული, ან ბეტონის დაზიანებული ადგილები:
დაიფაროს PermaSilan, ან Cap-elast-ით.

მარილის ნალექის მქონე ზედაპირები:
მარილი მოიწმინდოს მშრალი ჯაგრისით. დაიგრუნტოს Dupa-grund-ით. ასეთი ზედაპირების შემთხვევაში არსებობს მარილების გამოტანის განმეორებითი შანსი, ამიტომ, დანაფარის ხანგრძლივი სიმტკიცის გარანტიას ჩვენ ვერ ვიძლევით.

დეფექტების მქონე ადგილები:
მცირე ზომის დეფექტები შესაძლოა გამოსწორდეს Caparol Fassaden-Feinspachtel-ის საგოზავი მასით. 20 მმ.-მდე ზომის დეფექტების ამოსავსებად გამოიყენება Capalith-Fassadenspachtel P, ან Histolith-Renovierspachtel. შემდგომ დაიგრუნტოს ზედაპირი.

დატანის მეთოდები
დაიტანება სამღებრო ფუნჯით, ან გორგოლაჭით.
საღებავში ბიოციდების შემცველობის გამო, უჰაერო მიფრქვევის მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

დაფარვის სტრუქტურა
სოკოვანი, ან წყალმცენარეების ნალექი უნდა მოცილდეს ჰიდროაბრაზიული მეთოდით, შესაბამისი წესების დაცვით. დაზიანებული ადგილები მოირეცხოს Capatox, ან FungiGrund-ით და კარგად გაშრეს.

ხარჯი
ერთ ფენაზე დაახლოებით 200 მლ/მ^2 გლუვი ზედაპირის შემთხვევაში.
ხაოიანი ზედაპირების დამუშავებისას ხარჯი იზრდება.
ზუსტი დანახარჯის განსაზღვრა ხდება სასინჯი დატანის საშუალებით.

გამოყენების პირობები
მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:
ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +5 C-სა.

შრობის დრო
ჰაერის +20° ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში.
ზედაპირი სრულად მშრალია და მზადაა დატვირთვებისთვის 3 დღეში.
უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა
გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით.

შენიშვნა
იმისთვის, რომ ცალკეული ნაწილების გადაბმის ხაზები დამუშავებულ ზედაპირზე არ დარჩეს შესამჩნევი, პროდუქტის დატანა უნდა მოხდეს ერთი მოსმით, „სველი-სველზე“ პრინციპით.
მასალა გამოუსადეგარია წყლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის.
მყარი დანაფარის მქონე ფოროვან ბეტონზე დატანილი საღებავის სიღიავე უნდა აღემატებოდეს 30% -ს, ხოლო თბოსაიზოლაციო სისტემებისთვის - 20%-ზე მეტი.
ისეთ გარემო პირობებში მყოფ ფასადებზე, სადაც არსებობს მაღალი ტენიანობა და აქედან გამომდინარე, სოკოთი და წყალმცენარეებით დაბინძურების მაღალი რისკი, Muresko-ი იძლევა მყარ დანაფარს, რაც ხელს უშლის ახალი ნალექის წარმოქმნას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
დაცვის ეფექტურობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია აგრესიული ფაქტორების /ბიოდატვირთვა და ტენის ზემოქმედება/ ინტენსივობაზე. ამიტომ მუდმივი დაცვა სოკოვანი და წყალმცენარეებით გამოწვეული დაბინძურებისგან პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩამოთვლილი ზედაპირების დასაგრუნტად, გასუფთავების შემდეგ, შესაძლებელია OptiGrund E.L.F.-ის მაგივრად გამოყენებულ იქნას FungiGrund-ი.
მექანიკურმა დაზიანებამ, მუქი ტონების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს ღია ფერის ზოლების გაჩენა, რაც ყველა მქრქალი ფასადური საღებავის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს. ტენის/წვიმის/ შედეგად ზოლები ქრება.
მკვრივ და გრილ დანაფარებზე, ან მაღალი ტენიანობის გამო გახანგრძლივებული შრობის პროცესში შესძლოა ზედაპირზე მოყვითალო, გამქვირვალე, წებოვანი ზოლების გამოჟონვა.
აღნიშნულ ზოლებს წარმოქმნის საღებავში შემავალი, წყალში ხსნადი დამხმარე ნივთიერებები. წვიმების შედეგად სრულად ირეცხება და არ მოქმედებს დაფარვის ხარისხზე. თუ, მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულია ზედაპირის სწრაფი ხელახალი დამუშავება, ზოლები უნდა დასველდეს და სრულად მოიწმინდოს. შემდგომ დაიფაროს დამატებითი საგრუნტავი მასალით - Capagrund Universal. შესაფერის კლიმატურ პირობებში ასეთი ზოლების წარმოქმნა არ ხდება.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს! თვალში მოხვედრისას სასწრაფოდ მოიბანეთ წყლით. გადაყლაპვის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. არ დაუშვათ პროდუქტის მოხვედრა კანალიზაციაში/გამდინარე წყლებში და ნიადაგში. დაიტანეთ მხოლოდ სამღებრო ფუნჯით და გორგოლაჭით.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც სამშენებლო ნარჩენები, გამხმარი საღებავი ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად **(VOC)**	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 20 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი საღებავები და ემალები	M-SF01
შემადგენლობა	პოლიაკრილატის ფისი, პოლისილოქსანები, სილიკატები, კალციუმის კარბონატი, ტიტანის დიოქსიდი, მინერალური პიგმენტები/შემავსებლები, წყალი, გლიკოლის ეთერი, დანამატები, კონსერვანტები, დამცავი აგენტები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია
ალ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge